

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია მოუწოდებს საგარეო საქმეთა
სამინისტროს გაუქმოს საზღვარგარეთ
მყოფი საქართველოს
მოქალაქეებისათვის საკონსულო
აღრიცხვის გასაწვლელად დამატებითი
ცნობის წარდგენის ვალდებულება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმაურება „საკონსულ ადრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულ ადრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2011 წლის 10 ოქტომბრის #241-ე ბრძანებაში შესულ ცვლილებებს, რომლის მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს საკონსულ ადრიცხვის გასაღვლეად სხვა დოკუმენტებთან ერთად, საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარდგენა მოეთხოვება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა. უფრო მეტიც, კანონმდებლობამ შესაძლოა ხელოვნურად გააჩინოს ამ პირებისათვის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია დადგეს საკონსულ ადრიცხვაზე, რაც საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივად ყოფნის ფაქტის ადრიცხვას წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა განმარტავს, რომ საქართველოს მოქალაქის მიერ ადგილსამყოფელ ქვეყანაში სამართლებრივად ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს საკონსულ ადრიცხვაზე დაყენების უარის თქმის საფუძველი. თუმცა, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, 11 ივლისს განხორციელებული ცვლილების თანახმად, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, საკონსულ ადრიცხვის გასაღვლეად დამატებით საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარდგენა მოეთხოვებათ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, თუ ისინი დგანან საქართველოს საკონსულ ადრიცხვაზე, აგრეთვე თუ ისინი არ დგანან საქართველოს საკონსულ ადრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულ დაწესებულებაში.

განხორციელებულმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს მოქალაქეებისათვის პოლიტიკური უფლების - არჩევნებში მონაწილეობის მიღების განხორციელებისათვის ხელშეშლა, რამდენიმე მიზეზის გამო:

1. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის გათვალისწინება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რიგი ქვეყნების კანონმდებლობისთვის უცხოა დოკუმენტი „ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის მათი სურვილის მიუხედავად რთული იქნება ამგვარი ცნობის წარმოდგენა;

2. სამწუხაროდ საქართველოს მრავალი მოქალაქე საზღვარგარეთ იმყოფება არალეგალურად. მართალია, მათი ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით შესაძლებელია ამგვარი ცნობის გაცემა, არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქისათვის, ასეთი, ცნობის მიღება გართულებული იქნება.

ამასთანავე, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას თუ: მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში. ვფიქრობთ, კანონის ეს ნორმა პრობლემატური იქნება იმ ქვეყნებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთათვის, რომელთა კანონმდებლობა არ იცნობს „ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან“. კანონმდებლობამ შესაძლოა ხელოვნურად გააჩინოს მათთვის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი.

მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნოდ, ნებიმიერი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს მოქალაქეებისათვის პოლიტიკური უფლების - არჩევნებში მონაწილეობის მიღების განხორციელებისათვის ხელშეშლა, არამიზანშეწონილია. მითუმეტეს, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელებას არ ახლდა შესაბამისი აუცილებლობის დასაბუთება სამინისტროს მხრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია მოუწოდებს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადახედოს 2012 წლის 11 ივლისს განხორციელებულ ცვლილებებს და გააუქმოს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის საკონსულო აღრიცხვის გასავლელად საჭირო დამატებითი ცნობის, კერძოდ - საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარდგენის ვალდებულება.